წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი
ჯარიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპირო. ქ. № 30. პირველი სართული.

სამშ. 19 სექტემბერი. 1922 წ.

№ 96 ქართული [illegible] პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 96

განცხადება

მომავალ კვირისთვის გამოვა ჩვენი გაზეთის სალიტერატურო დამატ[illegible]

„წითელი ყვავილები"

ჩვენი ჯარის ყველა ნაწილებს ვსთხოვთ გამოგვიგზავნონ ამ ნომრისათვის შესაფერი მასალები.

რედაქცია.

ოსმალეთის გამარჯვება, როგორც კრახი ანტა[illegible]ოლიტიკისა აღმოსავლეთში.

ანტანტის ფინია ძაღლი— საბერძნეთი სამარცხვინოთ დამარცხდა.

ანგორის მთავრობამ მას დაალევინა ანატოლია და ხიშტის კვრით თავის საკუთარ ტერიტორიაზე გადააგდო.

ამნაირად, ოსმალეთმა დაიბრუნა თავის ქვეყნის ერთი ღირს-შესანიშნავი კუთხე, რომელიც 40 თვის განმავლობაში ბერძნების მძიმე უღლის ქვეშ იმყოფებოდა.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო და აგრეთვე, როგორც სამართლიანობა მოითხოვდა, ის მარტო ამას არ დასჯერდა და გადასწყვიტა სტამბოლის, ფრაკიის, ადრიანოპოლის და თვით სრუტეების უკან დაბრუნებაც.

ამის შესახებ, ჩვენ უკვე დეპეშებიდან ვკითხულობთ, სადაც ქემალ-ფაშა აცხადებს, რომ ოსმალეთს უეჭველათ უნდა დაუბრუნდეს ეს ზემო-ხსენებული ქვეყნები, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იმუქრება ომის გაგრძელებით და ძალით თავისას გატანას.

ამისათვის კიდეც უყრის ის თავს ჯარს და ამზადებს საბოლოო ომებისთვის.

სტამბოლის მთავრობაც, რომელიც დღემდის ანტანტის მონა-მორჩილ ლაქიას წარმოადგენდა, სიხარულით ხვდება ანგორის გამარჯვებასა და მისწრაფებას და უცხადებს რა ქემალს მადლობას, აძლევს წინადადებას, ერთი მთავრობის შექმნისა, ე. ი. მათი მთავრობების შეერთების შესახებ.

ზედმეტი იყო აქ სტამბოლის სულთანი, როგორც უვარგისი ჩვარი და აი, როგორც გუშინდელი დეპეშები ამბობს, ისიც გადამდგარა ტახტიდან.

გზა დაუცალა ოსმალეთის ამაღორძინებელ გმირ-რაინდებს.

ამნაირად, ოსმალეთს სულ მალე ეყოლება ერთი მთლიანი, ეროვნული ძლიერი მთავრობა.

დიდია და წმიდა ამ მთავრობის მიზანი და დანიშნულება, დიდია იმდენათ, რამდენათაც ის ებრძვის პირ-სისხლიან ანტანტას.

წმიდა[illegible] იმდენათ, რამდენათაც ის იბრძვის აღმოსავლეთის ყველა ჩაგრული ერების იმპერიალიზმის კლანჭებიდან განთავისუფლებისათვის.

და დღეს კიდეც არის სამისო ნიშნები.

მცირე აზიის ქვეყნები. პალესტინა, მესოპოტამია, არაბეთის ნახევარკუნძული და თვით დიდი ინდოეთიც—დელავენ, ჯანყდებიან, სამკვდრო-სასიცოცხლო ომით ემუქრებიან ანტანტის ყაჩაღებს.

ანტანტა კი, კბილების ღრჭენით და პირზე დორბლ-მორეული უცქერის ყველა ამ ამბებს.

მას მოსვენებას არ აძლევს მის მიერ მსოფლიო-ომში საშინლათ დატუქსული, ხოლო ეხლა კი, მისი სიტყვით „გათავხედებული" ოსმალეთის ძლიერება. მაშ ხელიდან ეცლება სტამბოლი, ადრიანოპოლი, სრუტეებში, (ეს მთავარი გასაღები მისი აღმოსავლეთში ძლიერებისა) მას პრესტიჟის ნიადაგი ეცლება აღმოსავლეთის ერებში და ითვლება დღეები მათი ბატონობისა მათში. მაგრამ მაგათ კაპრიზები ის[illegible] ვერ დაა[illegible]ლებენ და აღმოსავლეთის ცხოვრებაც ბრწყინვალე მომავლისაკენ ისწრაფვის.

ოსმალეთის პროგრესიული მთავრობა იმპულსის მიმცემია ამ დიად საქმისათვის.

საბჭოთა რესპუბლიკებიც მას ეხმარება.

პანი.

წითელი პრესა

ანგორის გამარჯვებამ—აღმოსავლეთი აამოძრავა.

ანგორის გამარჯვება სანეტარო ამბათ მოედო ევროპის იმპერიალიზმის მძიმე უღელ ქვეშ მყოფ აღმოსავლეთის ერებს.

დეპეშების ცნობით ინდოეთში რევოლიუციონურ მოძრაობას, გაძლიერება ეტყობა.

არაბები პოლიტიკურ დემონსტრაციებს ჰმართავენ ინგლისის წინააღმდეგ და მრავალი სხ.

გაზეთი „კომუნისტი" ეხება ამ ამბებს და სწერს:

„ოსმალეთის ხალხის ეს გამარჯვება დიდ ენერგიას ჰმატებს და გამამხნევებელ სულს ჰბერავს მუსულმან ქვეყნების მოსახლეობას, რომელნიც ჰგმინავენ და სულს ღაფავენ ინგლისის იმპერიალიზმის მძიმე უღლის ქვეშ. მით უმეტეს, აღმოსავლეთის ეს ქვეყნები, რომელნიც ინგლისის კოლონიებს წარმოადგენენ, ეკვრიან ოსმალეთის საზღვარს".

ბაქოს ბაზრობის შესახებ.

დღეს ქ. ბაქოში იხსნება „იარმარკა", რომელიც უსათუოდ დიდი ფაქტორია კერძოთ ამიერ კავკასიის სავაჭრო მდგომარეობის გამტკიცებისა და გამაგრებისათვის.

ეს უკვე ბრძოლის დაწყებაა, რომელიც იწარმოებს კერძო ვაჭრებსა და სახელმწიფოს შორის და ბოლოს ეს „იარმარკა" მნიშვნელოვანია იმით, რომ ის ამიერ-კავკასიის სავაჭრო სინამდვილით ემსახურება მთელ საბჭოთა ფედერაციაში სავაჭრო ნორმალურ პირობების აღდგენას.

ბაქოს „იარმარკა" ფაქტიურად, გაგრძელებაა და აგრეთვე დამატებაც ნიჟეგოროდის „იარ მარკის" ორთავე „იარმარკას ქონდა და აქვს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა და აგრეთვე პრაქტიკულიც. ჩვენ დავინახეთ თუ რა დიდი როლი ითამაშა ნიჟეგოროდის „იარმარკამ" და ამ გამოცდილებით ჩვენ ვუდგებით ბაქოს „იარმარკასაც?

ბაქო, ეს ის გზა ჯვარედინია, სადაც ხდება შეტაკება საზღვარგარეთულ საქონლის ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების ნაწარმოებთან. ამ მხრივ „იარმარკა" როცა უკვე სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება დიდ შედეგებსაც მიაღწევს.

ერთის მხრივ ბაქოს „იარმარკამ" კონკურენცია უნდა გაუწიოს ინგლისის საქონელს სპარსეთში, და ხელი შეუწყოს საბჭოთა რესპუბლიკების ნაწარმოებთა აღმოსავლეთში გატანას, აგრეთვე აღმოსავლეთიდან ჩვენთვის საჭირო საგნების და საქონლის შემოტანას.

მეორე მხრით კი შექმნას ამიერ კავკასიის ფარგლებში მთლიანი და მტკიცე სავაჭრო ფრონტი, როგორც საგარეო ვაჭრობასთან ისე შინაურ კერძო სავაჭრო ურთი-ერთობასთან.

ეს შესაძლებელია, რადგან ბაქოს „იარმარკა" უსათუოდ ისარგებლებს ნიჟეგოროდის „იარმარკის" გამოცდილებით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ფრონტზეც ჩვენ წარჩინებით დავიწყებთ ბრძოლას და ასევე წარჩინებით დავამთავრებთ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე ამ ჟამათ სპარსეთში ინგლისი და საფრანგეთია. მაგრამ ჩვენი სახელმწ. სავაჭრო დაწესებულებანი ახეთ მოწინააღმდეგეებსაც კისერს მოუგრეხენ, როგორც კისერი მოვუგრიხეთ სამხედრო ფრონტზე ჩვენს მოწინააღმდეგეთ. შეიძლება ჩვენი ფულის ნიშნები არ იყვეს ისე მტკიცე, როგორც ინგლის-საფრანგეთის და. ეს ასე, რომ არის არავისთვის საიდუმლო არ არის მაგრამ არც ჩვენი სამხედრო იარაღი იყო კარგი შედარებით ინგლისის ტანკებთან.

სავაჭრო ფრონტზედაც ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, ამით თავდებია ნიჟეგოროდის „იარმარკის გამოცდილება.

ი. მეგრელი[illegible]

დღევანდელი ცნობები

— აქნობამდი კიდევ არ მიუღია გერმანიას პასუხი ბელგიის ნოტაზე ვინაიდან კაბინეტის სხდომა არ შემდგარა.

— ბელგიას აქვს იმედი რომ გერმანიასთან მოლაპარაკების დროს კომპრომისი მოინახება და საქმე გადასწყდება დადებით.

— გერმანიამ განაცხადა ოფიციალურათ, რომ ის შეიტანს ერთი მილიონის მაგივრათ მხოლოდ 500,000 გირ. სტერლინგს საკონტრიბუციო კომისიის დეპოზიტში. საფრანგეთის მთავრობამ შეატყობინა მოკავშირეებს რომ გერმანია კიდევ არ ასრულებს თავის მოვალეობას.

— ლონდონში ემჩნევა მუშების დიდი თავმოყრა, იქ აგრეთვე მუშაობენ ამერიკიდან ჩამოსული მუშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოსკოვის რადიო ტელეფონის სადგურმა უნდა მოაწყოს კონცერტი, რომელიც მიჩნეულია განსაკუთრებულათ პროვინციებისთვის კონცერტის ყურის დაგდება შეუძლია ყველა ქალაქებს რომელსაც აქვთ რადიო სადგური.

უკრაინაში ჩამოვიდა ყოფილი პეტლიურას ჯარის გენერალი მარტინიუკი მან ითხოვა პატიება წარსულ დანაშაულის, საბჭოთა მთავრობამ აპატია.

— ნარკომზემმა მიიღო წინადადება სასოფლო მეურნეობის გამოფენის მოწყობის შესახებ. გამოფენა გაიხსნება მოსკოვში 15 აგვისტოს 1923 წ.

— ახლო მომავალში ყირიმში დაიწყება ყურძნის მოწევა იმედია რომ მოსავალი იქნება კარგი. ფეოდოსიაში ჩაუშვეს წყალში ახლად რემონტ გაკეთებული გემი „კეფა.“

— ხარკოვში ჩამოვიდა გერმანელების მისია იისის თავმჯდომარე არის ტემმანი.

— მოსკოვში გაიხსნა ყრილობა წყლის ტრანსპორტზე მომუშავეთა ყრილობა აგრეთვე გაიხსნა ყრილობა ტყის-სამელარაციო მუშაკებისა.

— საცხოვრებელ ბინების კრიზისი მოსკოვში გრძელდება ამის მოსაგვარებლათ მიღებულია ყოველგვარი ზომები.

— სრულიად რუსეთის პროფკავშირების ყრილობის გახსნა მოხდება 17 სექტემბერს.

— ლიტვაში წარმოებს ასოთამწყობების გაფიცვა ისინი თხოულობენ სამუშაო ფასების მომატებას.

— ამერიკამ მიმართა რუსეთს განცხადებით რომელშიდაც თხოულობს რუსეთთან საქმეების წარმოების აღდგენას.

ოსმალეთ საბერძნეთის ფრონტზე.

— ლონდონის ცნობით ინგლისმა მიიღო ნოტა რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობიდან რომელშიდაც ეხება ოსმალეთ საბერძნეთის ამბებს. ნოტაში რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარი ამბობს, რომ რუსეთისთვის არ იქნება სავალდებულო არავითარი გადაწყვეტილება მოკავშირეთ ნოტაში აღნიშნულია რომ მთელი სიმპატია რუსეთის მიმართული ოსმალოებისადმი. აგრეთვე ნოტაში რუსეთი გამოთქვამს რომ მას შეუძლია მიიღოს შუამავლობა ოსმალეთ საბერძნეთის საქმეში

— საფრანგეთისპრესის ცნობით ჯერჯერობით არც სოფიას არც ბუხარესტს არც ბელგრადს არ მოუცია ცნობა რაიმე საშიშ კონფლიქტების შესახებ.

—ინგლისის კაბინეტი გუშინდელ სხდომიდან გამოტანილია მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ახლო აღმოსავლეთის საკითხზე გადაწყვეტილია მიეცეს განკარგულება ადმირალს ინგლისის ესკადრის უფროსს დარდანელში რათა აკრძალოს და დაუშვას ოსმალების ჯარების ევაკუაცია სრუტეებით.

—საფრანგეთის მთავრობა ისევ სცნობს აუცილებლათ საჭიროთ მალე ოსმალეთ ბერძნებს შერიგებას.

— ინგლისის პრესსა სცნობს, რომ ყოველგვარი დაგვიანება ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაჭრისა, გამოიწვევს დიდ საშიშროებას განსაკუთრებით ინგლისისათვის.

— ქემალ ფაშა იმუქრება კონსტანტინოპოლზე შეტევით, თუ კი ქალაქი არ იქნა დატოვებული მოკავშირეების მიერ...

— ინგლისის მთავრობამ გაგზავნა კონსტანტინოპოლში 100.000 ჯარისკაცი ოფიცრებით და მფრინავებით, ერთი იქ მყოფ ნაწილების გასამაგრებლად. საფრანგეთის მთავრობა ამზადებს 20.000 ჯარის კაცს.

— ლონდონის ცნობით, ხუთშაბათს კუნძულ მილტიდან წავიდა კონსტანტინოპოლში ინგლისის ერთი ფლოსანთა ბათალიონი.

ყველა ჯარები კუნძულზე მზათ არიან სასწრაფოთ გამოვიდნენ პირველშემთხვევისთანავე.



გაზეთისათვის სიცრუის მიწოდება სირცხვილია.

გაზ. „წითელ არმიელის“ ა. წ. 6 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია წერილი ამხ. შუამინდვრელის, სადაც სწერს რომ ქართულ მსროლელ დივიზიის შტაბმა მიიღო აგვისტოს ჯამაგირები, რომელიც მეთაურთა შემადგენლობას და თანამშრომელთ, ხოლო წითელ არმიელებმა ვერ მიიღეს, რადგან ისინი არავის ახსოვდათ და მათი ჯამაგირებიც გამოწერილი არ იყოვო.

ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ რომ ეს მტკნარი სიცრუეა. რის დამამტკიცებელი საბუთები, ყველას შეუძლია ნახოს დივიზიის შტაბში. და ჩვენ გვიკვირს ნუ თუ ამხ. შუამინდვრელს არა სცხვენია ასეთი სიცრუის მიწოდება გაზეთისათვის. ჩვენ ვურჩევთ ამხ. შუამინდვრელს, თუ კორესპონდენტობა უნდა, ჭორებს კი ნუ თხზავს, არამედ მართალი და გამოსადეგი ცნობები აწოდოს გაზეთს.

ქართ. მსრ. დივიზიის შტაბის სამ-ნეო ნაწ. საქ. მწარმოებელი—თეთრაძე.

გამოსცვალეს!

მესამე ლეგიონის მე 3-ე ათასეულში 11 დეკემბერს მოხდა კრება. ასარჩევი იყო პოლიტ-განათლ. და საკონტრ. კომისია.

ძველი საპოლიტ-განმანათლებლო კომისია უმოქმედობისათვის გამოსცვალეს და აირჩიეს ახალი.

ამის შემდეგ კრებამ აირჩია საკუთარი სამხკორი, რომელსაც დაევალა სისტემატიურად გაზეთისათვის წერილების მიწოდება.

სამხკორი მესამე ასეულისა.

[redacted]ეგიონი

1. ურიდოს [redacted]

ჩვენი ლეგიონის თავს აკლია ენერგია, საქმის სიყვარული და უნარიანობა ე. ი. ყველაფერი ის, რითაც დაჯილდოებული უნდა იყოს ყოველი ნაწილის თავი სამაგიეროთ მას აქვს ერთი განსაკუთრებული ნიჭი. დილიდან ხუთ საათამდე კაბინეტში ჩის და სკამს არ შორდება. გვეშინი[redacted]ორ გაუჩნდეს. სამხედრო კომისარიც სუსტად ეკიდება თავის მოვალეობას. თორემ ჩვენი ლეგიონი სამაგალითო იქნებოდა, ვინაიდგან მისი უფშემადგენლობა კარგია.

2. ბიბლიოთეკაა თუ ბოსელი.

არ ვიცი რატომ ჰქვიან ამ ოთახს ბიბლიოთეკა. წიგნების ნაგავის გროვას ჰგავს. უსისტემოდ მიყრილ წიგნებს არ იციან ვინ კითხულობს ან ვის მიაქვს. სკამი არ მოიძებნება. ბიბლიოთეკის გამგე მხოლოდ დილდილობით გამოჩნდება ახალი მთვარესავით. მერე აღარსად სჩანს. ამბობენ კლუბის გამგის მეგობარია და მასთან თავს იქცევსო.

ღმერთმა ხელი მოუმართოს!

ისა.

მადლობას უცხადებთ.

ქართული დივიზიის შტაბში და საკომენდანტო გუნდში ადმინისტრატიულ მუშაობას დიდი გაუმჯობესება დაეტყო მას შემდეგ რაც შტაბის უფროსის თანაშემწედ დაგვენიშნა ბ. გ. ბეგოვი.

ეს ამხანაგი ჯეროვან ყურადღებას აქცევს შტაბის საქმეთა წესიერ მსვლელობას, გუნდში დისციპლინის გაძლიერებას და, რაც უმთავრესია, სასურველი ამხანაგური დამოკიდებულება აქვს წითელ არმიელებთან ამხ. ბეგთაბეგოვი ცდილობს ყოველი წითელ არმიელი თავის დროზე დაკმაყოფილებულ იქნეს ყოველივე ნივთიერ მოთხოვნილებით.

ჩვენ, წითელ არმიელები, ვაფასებთ რა ამხ. ბეგთაბეგოვის შრომას, ვუცხადებთ მას მადლობას.

სამხკორი: შტაბელი.

კომბინატორი კომანდირი.

ა. წ. მარტში ყოფ. მე-5 გუნდის უფროსმა კუპურიძემ ლატარიაში, ჩააგდო ვერცხლის ხმალი, რომელზედაც ხელი მოაწერეს 49 წითელ არმიელმა თითეულმა გადაიხადა თავისი ჯამაგირიდან 25,000 მანეთი 5—6 თვის განმავლობაში ხმალი არ გათამაშებულა და დღემდის არ ვიცით სად არის. მე მგონია (სამართლიანობა მოითხოვს 25,000 მანეთები დაუბრუნდეს წით. არმიელებს და ასეთ კომანდირს კი პასუხი მოეთხოვოს*).

I ლეგიონის № გუნდის

სამხკორი: შ. გ—ლი.

---

*) ამ წერილის შესახებ რედაქცია ფიქრობს რომ არავითარ თამაშს ფულზე და მასთან ლატარიასაც ჩვენს წით. არმიელებში ადგილი არ უნდა ექნეს.

პარტიული მუშაობა.

სექტემბრის 4-ს შესდგა პირველ ლეგიონის კომუნისტების საერთო სხდომა. სხდომას დაესწრო წევრთა უმრავლესობა.

დღის წესრიგში იყო: თანამედროვე მომენტი, საბჭოთა აღმშენებლობა და მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე ილაპარაკა ამხ. ცომაიამ, ის შეეხო იმპერიალისტურ ომს და მის შედეგებს, ვერსალის ხელშეკრულებას; გენუა-ჰააგის კონფერენციებს, საბჭ. ფედერაციას და სხ.

ამ კითხვის გასაშუქებლად ილაპარაკა ამხ. ვაშაკიძემ და ლომიძემ. მოხსენება დამაკმაყოფილებელი იყო.

მეორე კითხვა მოხსნილ იქნა წესრიგიდან დანაწილებით, რომ შემდეგ საერთო ლეგიონის კრებაზე მოხსენების გასაკეთებლად.

მიმდინარე კითხვებზე ილაპარაკეს წითელ არმიელების ცხოვრების გაუმჯობესობაზე, დეზერტირობაზე.

პირველის შესახებ ამორჩეულ იქნა კომისია.

გამოცხადებულ იქნას გაზ. „წითელ-არმიელში“, რათა მეტი ყურადღება მიექცეს მაზრის სამხკომების და ადგ. დაწესებულებებისაგან, როგორც დეზერტირობას, ისე შვებულების ვადას.

ე. ცომაია.



№-რ ლეგიონის „ნაჩხოზს“
აბა ვინ მიეკარება?
ვისაც სურს სწავლა წვალების
შეგირდათ მიებარება,
მთელსა ლეგიონს თვის ნებად
როგორაც უნდა ატარებს
შაჰინ—შაჰ თავი ჰგონია
ძალს პრომეთეოსს ადარებს.
დასარიგებელ ფულებსა
იღუმალ სადღაც აქანებს;
შიშით ვერ მიხვალ „სათხოვრად“—
პულემიოტივით კაკანებს.
გაჭირვება გაქვს თუ არა
იმას ფეხებზე ჰკიდია.
თითქოს ჯიბიდან გაძლევდეს—
არაფრისა აქვს რიდია.

თითონ ხომ მეფურად სცხვრობს
სხვა თუნდა წყალში ცვიოდეს
ოღონდ მას ჰქონდეს სითბო და
რას აქნევს-სხვას თუ სციოდეს?!
5—6 თვის წინად მისაღებ
ფულებსა ეხლაც ელიან.
რის გამო ბევრსა მსახურსა
მოთმენა გამოელია.
მის კაბინეტის წინ მუდამ
გაბმულან მთხოვნელთ რიგები.
ვერ ნახეს მისგან ჯერ ფული
უჩხუბრათ დანარიგები.
„იმ“ ფულით „აბაროტებსა“
ბოლონი რის—და მოელის?
და დროზე ხვედრის მიცემით
მსახურთა გული მოეგოს?!

დაჭკა!

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან. რედაქტორი ჰ. ქუთათელაძე.